№ 101
ივერია, 12 მაისი 1896

1877—1896

ივერია

№ 101
ივერია, 12 მაისი 1896

რედაქციის: ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
ГАЗЕТИНЪ ДОЛЖАРАЕБЛАД
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამოვრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ГАЗЕТА ИВЕРИЯ

ГАЖЕТНЫЙ ДОЛГ:

	მან.	კ.		მან.	კ.
თვე			თვ.		
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომ. 5—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მღვდელი იროდიონ და **მეუღლე მისი მარიამი ბურგენიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისის ასულის **ოლგას** გარდაცვალებას და სთხოვენ დაესწრნენ მიცვალებულის დასაფლავების დროს დიდუბის ეკკლესიაში ამ თვის 12-ს, კვირა დღეს, დილის 10 საათზედ. 2—58—2

ლატარია-ალბერი

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ უმხნდობისა გამო გადადო 19 მაისისათვის.

ვინაც ჭსურს შემოსწეროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს აზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **ქნ. ოლგა თადიოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, სავლოვის სახლი. № 21).

კაგინეტი კგილის ექიმთა
ვ. ი. ჭიჭინაძისა და **ძ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიზეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

წლიური კრება

ქართველთა ვაჭრა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ფევრთა დანიშნული 4 მაისს ამ წლისა არ შესდგა ფევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 12 მაისისათვის საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველნი არიან:

1, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვედამ 1994 წ. 1 ივნვრამდე 1896 წ.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1896 წლისათვის.

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (6—5)

„ქართველ ქალთა ამხანაგობა“ გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც ხსენებულს ამხანაგობაში წევრობა ჰსურს შეუძლიან მიმართოს ფულის წარსადგენად მხოლოდ შემდეგს პირებს:

ტფილისში:

თავმჯდომარეს ამხანაგობისას: ქნ. ოლგა თად. ასულს ჭავჭავაძისას, ამხანაგობის გამგეს ქ-ნს ეკატერინე რევაზის ასულს გაბაშვილისას, ქ-ნ ნინო მიხეილის ასულს გიფმყრელისას, ქ-ნ ოლგა ნიკ. ბეჟანიშვილისას, ქ-ნს ეკატერინე დიმ. ფურცელაძისას, ქ. ბარბარე ანდრ. ავალიშვილისას, ქ-ნს ანნა გვარამაძისას, ქ-ნს ანნა ცისკარაშვილისას, ქ-ნს სოფიო მიხ. ჩხარტიშვილისას, ქ-ნს ოლგა ნიკ. ბეჟანიშვილისას, ქ-ნს ბარბარე არტ. ბაგინოვისას, ელენე ქაიხ. ანტონოფსკაისს, ქ-ნს დარია დიმიტ. დეკანოზიშვილისას, ბ-ნს ივანე მაჟავარიანს „მოამბის“ რედაქციაში, თავადს კოსტანტინე ვეზირიშვილს, ბ-ნს ექვთიმე კვაჭაძეს და ბ-ნს ივანე ახალშენიშვილს, „ივერიის“ რედაქციაში.

გორში:

ბ-ნს ნიკოლოზ ლომაურს;

ყარსში:

ქ-ნს სოფიო არტ. ზედგინიძისას;

სიღნაღსა და ქიზიყში:

ბ-ნს დიმიტრი მაჩხანელს (ნადირაძეს);

ბაკოში:

ქ-ნს მარიამ მიხ. ლოლობერიძისას;

ბაკუაკში:

ბ-ნს ალექსანდრე პეტრ. სარაჯიშვილს;

განჯაში:

ქ-ნს ალექსანდრა გიორგ. ყანჩელისას;

ცხინვალში:

თავ. იასონ ლუკას ძე ხიმშიაშვილს;

ერევანში:

თავ. ისიხია ნაკაშიძეს;

მანგლისში:

კნ. თამარ მიხ. ყავრიშვილისას;

ახალციხეში:

ქ-ნს ელისაბედ ნიკ. ყაზბეგისას;

თიონეთში:

ექიმს ლუკა ანტ. თავ. ჯავახიშვილს;

ეკატერინოდარში:

ექიმს ვასილ მიხ. მანსვეტოვს;

თელავში:

ქ-ნს ბარბარე სულხანიშვილისას;

ბახეთში:

კნ. მარიამ ალექს. ასულს ვაჩნაძისას;

დუშეთში:

ბ-ნს დავით ხიზანაშვილს;

სოხუმში:

კნ. გაიანე იოს. შარავაშიძისას;

სურამში:

ქ-ნს ეკატერინე ადამის ას. მუატს;

ახალციხის ახალქალაქში:

ქ-ნს მარიამ დავ. ალიხანიშვილისას;

ბათუმში:

ქ-ნს მარიამ ელიავას ცოლს;

ქუთაისში:

ქ-ნს ეკატერინე იაკობ. ნიკოლაძისას.

(3—უ—1).

ტფილისი, 12 მაისი.

—

უცნაური და სამწუხარო გარემოება გვაიძულებს დავარღვიოთ ის წესრიგი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით ბანკის კრების საქმეების განხილვისათვის. თითქმის სამი კვირა მოანდომა კრებამ საყურადღებო ქალაღდების წაკითხვასა და მათ შესახებ ბაასს. რიგისამებრ, დღეს მკითხველთათვის უნდა გაგვეზიარებინა აღძრულის საგნების განხილვით გამოწვეული შთაბეჭდილება, მაგრამ ეს შემდეგისათვის უნდა გადავდვთ, დღეს-კი რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ ყოველად სამწუხარო მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იმ-ყოფება ეს რამდენიმე დღეა ბანკის კრება, ეგრედ წოდებულ „ოპპოზიციის“ მეოხებით.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ოთხის დღის წინად, ვიდრე წრევანდელი კრება დაიწყებოდა, პეტერბურგიდამ სამინისტრომ გამოუგზავნა ბანკის გამგეობას რევიზორის მოხსენება და ფინანსთა მინისტრის მოწერილობა. გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა დაადგინა, ამ საყურადღებო ქალაღდების შინაარსი დაცენოს კრებას. ხსენებული ქალაღდები ეხებიან დიდად საყურადღებო საგნებს,—ბანკის მეტად რთულ საქმეებს. ამ ქალაღდებში ბევრი ისეთი რამ არის, რომელიც აუცილებლად უნდა შეწყნარებულ იქმნას ბანკის მმართველთაგან, ბევრი სასარგებლო მოსაზრებაა, მაგრამ არის აგრეთვე ისეთი რამ, რაც ბანკის მოღვაწეობას შეაფერხებს და ამიტომ მათ შესახებ საჭირო იქნება შუამდგომლობა და მეცადინეობა, რათა ამგვარები უარყოფილ იქმნან. ერთის სიტყვით, სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ქალაღდები იმდენად საყურადღებონი არიან, რომ აუცილებლად „საჭიროა დაკვირვებული გარჩევა, ფრთხილი განხილვა და გულ-დადებული აწონ-დაწონვა ყოველისაგე საგნისა, რათა ბანკის მომავალი არ შეფერხდეს, მისი სვე-ბედი განსაცდელში არ ჩავარდეს. რასაკვირველია, ამგვარ განხილვას ვერ იკისრებს საზოგადო კრება, თუ სახელმძღვანელოდ არ ექნება საჭირო მასალა, საბუთები და დასკვნა უფრო გამოცდილთა და მცოდნე პირთა. გამგეობამა და ზედამხედველმა კომიტეტმა, რომელთა წევრები, რაც უნდა იყოს, უფრო გამოცდილნიც და მცოდნენიც არიან, რასავვირველია, ვერ მოასწრეს ოთხის დღის განმავლობაში თავისი აზრი, თავისი დასკვნანი წარედგინათ ამ ქალაღდების შესახებ და ამიტომაც დადგინეს მხოლოდ გასაცნობათ წარედგინათ ისინი კრებისათვის, ხოლო ამა თუ იმ დადგენილებათა მოსახდენად საჭიროდ სცნეს მეორე, საგანგებო კრების მოწვევა. ამგვარს ფრთხილს გარდაწყვეტილებას მოითხოვდა თვით საქმის სიღიადე და ბანკის ინტერესი! ამგვარსავე გარდაწყვეტილებას ფორმალურად თხოულობს თვით ბანკის წესდება: მე 82 მუხლის ძალით ყველა საქმეები, რომელიც უნდა წარედგინოს საზოგადო კრებას, თავდაპირველად განხილულ უნდა იქმნან გამგეობისაგან და მათ შესახებ გარდაწყვეტილება უნდა მოახდინონ გამგეობამა და ზედამხედველმა კომიტეტმა; ამასთანავე, კრების დაწყებამდე ორი კვირის წინ ყველა განსახილველი საგნები საჯაროთ გამოცხადებულ უნდა იქმნან. ამ მოსაზრებათა მიხედვით, სრულიად კანონიერი, სამართლიანი და საფუძვლიანი იყო ბანკის კრების გარდაწყვეტილება, რომ ყველა ხსენებული ქალაღდები წაეკითხოთ, მათ ასახსნელად კამათი ვიქონიოთ, ხოლო დასკვნათა მოხდენა მეორე, საგანგებო კრებამდე გადავდვათო. „ოპპოზიციის“ ბელადნი არა-თუ წინააღმდეგნი არ იყვნენ ამგვარის გარდაწყვეტილებისა, პირიქით, ისინი ამბობდენ, რომ ახსნა და კამათიც არ არის საჭიროო, რადგანაც ვერავითარს დასკვნას ახლა ვერ მოვახდენთო. თვით დ. ი. მუსხელაშვილმა, კრების თავმჯდომარემ, ეს აზრი რამდენჯერმე განიმეორა თავის დროზე...

როგორც იყო, დასრულდა აღნიშნულ ქალაღდების წაკითხვა და მათგან გამოწვეული კამათი. რიგისამებრ კრება უნდა შესდგომოდა მორიგ საქმეთა განხილვას, მაგრამ მოულოდნელად „ოპპოზიციის“ მეთაურებმა გამოაცხადეს, რომ საჭიროა რაიმე გარდაწყვეტილება მოვახდინოთ განხილულ საგნების შესახებო. თავ.ნ. ორბელიანმა, მ. ვ. მაჩაბელმა, თვით კრების თაამჯდომარემ და „ვითომ და ოპპოზიციის“ სხვა ორატორებმაც წარმოადგინეს სხვა-და-სხვა ფორმულები გარდაწყვეტილებისა. უმეტესი ნაწილი ამ ფორმულებისა ამბობს, რომ დავავალოთ გამგეობას აღასრულოს და იხელმძღვანელოს რევიზორის ყველა იმ წინადადებით, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან მინისტრის მოწერილობასაო, ავირჩიოთ სარევიზიო კომისიებიო და სხვა-და-სხვა. მიუხედავად იმისა, რომ კრების უმეტესობა ეუბნება მათ, რომ ვერავითარს გარდაწყვეტილებას ვერ მოვახდენთ, რადგანაც ეს კანონსაც და ჩვენსავე პირველ გარდაწყვეტილებას ეწინააღმდეგებაო, რომ არ შეიძლება დავადგინოთ ესა და ეს აასრულოს გამგეობამ, სანამ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი თავისს აზრსა და დასკვნას არ წარმოგვიდგენენო, მიუხედავად ყოველისა ამის, კრების თავმჯდომარე მაინც თავისას გაიძახის—უთუოდ უნდა დავადგინოთ რამეო! კრება დრტვინავს და მღელვარეს—არ შეიძლება, არ შეიძლება, გადვიდეთ მორიგ საქმეებზეო, მაგრამ ძალა თავმჯდომარის ხელშია და ის წამ და უწამ სწყვეტს კრებას, არ ემორჩილება მის სამართლიანს თხოვნას, გარბის კრებიდან და აშინაურებს საქმეს. რამდენიმე დღე კრება ამგვარ სამწუხარო მდგომარეობაში იყო. მოამინებიდან გამოსულმა უმეტესობამ რამდენჯერმე მიჰმართა ზედამხედველს კომიტეტს—გვიშველე, გამოგვიყვანე ამგვარ განსაცდელიდან, არ შეიძლება რამენაირად, სხვა კრება დანიშნონთ და ამრიგად თავმჯდომარე გამოვცვალოთო და სხვა, მაგრამ ზედამხ. კომ. ვერაფერი მოისაზრა საქმის გამოსაკეთებლად.

საქმის როგორმე დამოლოგებისათვის გამგეობა, ზედამხ. კომიტეტი და კრების უმეტესობა დასთანხმდენ და თავის მხრით წარმოადგინეს გარეგოების მიხედვით შესაძლებელი ფორმულა, რომ კრება, იღებს-რა მხედველობაში წაკითხულს ქალაღდებს, ავალებს გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს განიხილოს ისინი და მომავალ კრებას წარმოუდგინოს თავისი მოსაზრებანი. „ოპპოზიციის“ მხრით აირჩიეს თავმჯდომარის ფორმულა, რომლის შინაარსი უკვე მოვიყვანეთ ზევით. როგორც-კი მივარდა საქმე კენჭის ყრაზე, „ოპპოზიციის“ ბელადებმა კიდევ გამოსჩხრიკეს უცნაური საგანი: ზედამხ. კომიტეტმა გადმოგვცეს წევრთა სიები და ჩვენ შევამოწმებთ მათაო. თავჯდომარემ ხელთ იგდო ეს უცნაური მოთხოვნილება, აირჩია ასისტენტები და დაიყრა—კომიტეტმა თუ ფურა გადასცეს მათ ხსენებული სიები გასაჩხრეკადაო. მათ ეუბნებიან—ეს უკანონობა იქნება, სიების შემოწმება კომიტეტის მოვალეობაა, ჩვენ ვენდობით, მათ და რევიზიის დანიშვნა არ მიგვაჩნია საჭიროდ; კრების დიდი უმეტესობა ემუდარება თავმჯდომარეს — განვაგრძოთ საქმეო, მაგრამ თავმჯდომარე ორას დღის განმავლობაში ჯიუტობს, ყოველ წამს სწყვეტს კრებას, ბირბის დარბაზიდამ. საზოგადოება ღრტვინავს და ღელავს და მოთმინებიდგან გამოსული კომიტეტს მიჰმართავს საჩივრით...

მხოლოდ გუშინ დასრულდა ეს განუწყვეტელი საქმე და კრებამ დიდის უმრავლესობით მიიღო ის ფორმულა, რომელსაც გამგეობა და ზედამხედველ კომიტეტი მიუმხრენ. ჩვენის ფიქრით, კრებამ არა მარტო შეიწყნარა სამართლიანი დასკვნა, არამედ თავისი განაჩენით თავმჯდომარის მოქმედებაც გაჰკიცხა.

ამ რიგათ, რამდენიმე დღის განმავლობაში კრების მდგომარეობა განსაცდელში იყო იმ პირთა მეოხებით, რომელნიც ყოველ წუთს გაიძახიან, რომ მხოლოდ ისინი ემსახურებიან სიმართლესა და საქმეს.

ლალი.

ახალი ამბავი

—

*** მოვაგონებთ ქართველს საზოგადოებას, რომ დღეს, 12 მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წლიური კრება „ქარ-

თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.“ კრება უთუოდ შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრებამ უნდა განიხილოს: 1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდამ 1894 წ. 1 იანვარამდე 1896 წ.; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ;

3) საკარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ გასავლისა 1896 წლისათვის; და 4) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი რუსულს ენაზედ „სახელმძღვანელო შინაგან დებეშათა კორესპონდენციების შესასწავლად“, კითხვა-პასუხებით, შედგენილი ტფილისის რკინის გზის მიხეილის სატეხნიკო სასწავლებლის მასწავლებლის ლ. კატერინის მიერ. თუ რომ შემდგენელმა უმთავრესი და უსაჭიროესი საგნები მაინც გასაგებად და უკლებლად მოიყვანა კითხვა-პასუხებით თავისს წიგნში, ექვი არ არის, მაშინ ეს წიგნი სარგებლობას მოუტანს როგორც ტელეგრაფისტთა სკოლას, ისე მათ, ვისაც ტელეგრაფის მოხელეობა ჰსურს. წიგნი ხუთ შაურად ღირს.

** დღეს, 12 მაისს, მუშტაიდის ბაღში დანიშნულია ლატარია-ალეგრი „ისლი“-ს საზოგადოებისა, საბავშო სამკურნალოს საშუალებათა გასაძლიერებლად. სეირნობა დღის 12 საათზედ დაიწყება.

** როგორც უკვე ნათქვამი იყო ივერიის 93 №-ში, ორშაბათს, 13 ამ თვისას, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში იგალობებს ბ-ნ ბეგნაშვილის მიერ ოთხ ხმაზედ დაწყობილ ქართულ გალობას, განსაკუთრებით ამისათვის შემდგარია ქალთა და ვაჟთაგან ქართული ხორო ბ. იოსებ მონადირეშვილის ლოტბარობით.

იმედია, რომ ქართული საეკკლესიო გალობის მოყვარულნი დაესწრებიან ამ სანიმუშო გალობას.

** გუშინ დილით მადათოვის კუნძული, სადაც სადეზინფექციო კამერა იყო გამართული, სულ ერთიანად მოჰგლიჯა მოდიდებულმა მტკვარმა. შუადღის 12 საათზე თვით შენობასთან იყო წყალი მოახლოვებული; საზოგადოდ საშიშარს მდგომარეობაშია მთელს ამ კუნძულზედ მდგომი შენობები. რადგან წყალი თან-და-თან მატულობს, შესაძლებელია სრულიად მოულოდნელად ჩამოინგრეს მთელი კუნძული და შარშანწინდელივით რამოდენიმე კაცი იმსხვერპლოს. ამიტომ კარგი იქნება საფრთხილით მოიქცნენ ყველა ისინი, ვინც მტკვრის ნაპირად შენობებში დგანან.

** როგორც გვატყობინებენ იმერეთიდამ, მდ. რიონი საშინლად მოდიდებულა და დაბლობი ადგილები მთლად წაულეკია.

** მდინარე მტკვარმა 10 მაისს ღამით კვალად მოიმატა და წალეკა მთელი რიყის ქუჩა,

** როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, ამრიელის ბოლო რიცხვებიდამ ისეთი წვიმიანი დღეებია, რომ ტფილისში ორი დღე ზედიზედ ისეთი არა ყოფილა, როგორც მაისს შეჰფერის. დღე თუ მზიანი გათენდება, სამაგიეროდ საღამოს გადმოუშვებს ხოლმე კოკისპირული წვიმა, ასე რომ ფეხით გავლა მეტისმეტად გაძნელდა. მოდიდებულმა მტკვარმა გაიოხრა და განაადგურა რიყის პირად მდებარე ბაღები, დაიქცია რამდენიმე სახლი, რომელიც მტკვრის ნაპირად იყო რიყეზე და, საზოგადოდ, მეტის-მეტად დაეზარალა ორთაჭალის მშვენიერი ბაღები, რომელიც ტფილისის მცხოვრებათვის საუკეთესო ადგილი იყო საზაფხულო დროს გასატარებლად. გარდა ამისა, გუშინ, დილის 10 საათზე ისეთ ნაირად მოვარდა გამშგებული მტკვარი, რომ გადმოლახა „ნაბერეჟნი“ ქუჩა და ისარლოვის ქუჩის ნაპირამდე მოვიდა. სულ ერთიანად დაანგრია სახერხავი მოედნის ფიცრული, წაიღო მრავალი ხეტყის მასალა, პატარ-პატარა ქოხები, სადაც მუშები თავს იფარავდნენ, სალქონლის ფარდულები და სხ. და სხ.

თუ რამდენსმე დღეს კიდევ განგრძო ასეთი წყალდიდობამ, მოსალოდნელია მართლაც დიდად საგრძნობელი ზარალი მისცეს მთელს ქალაქს.

** ის სადილი, რომელიც ალექსანდრეს ბაღში უნდა იქმნას გამართული 3 ათასი კაცისათვის, თუ დანიშნულს დღეს წვიმიანი ამინდი დაიჭირა, ქალაქის სხვა-და-სხვა დაფარებულ ადგილებში იქმნება გამართულიო, სწერს გაზ. „კავკაზი“.

** ტფილისში ამ ქამად რამდენიმე კაცი აღმორნდა გადამდებ სენით ავადმყოფი, რომელთაგან ზოგი დიფტერიტით არის ავად, ზოგი ქუთრუშით, ზოგი მუცლის აღნით, ზოგი ყვავილით და ზოგიც სხვათა ავადმყოფობით. ერთი კაცი კიდევ უმსხვერპლნია თურმე ამ სენს. განურჩევლად დიდისა და პატარასი, ყველას ემართება თურმე, ასე ერთი-ორი წლიდგან თითქმის ორმოც-და-ორის წლის ადამიანსაც-კი.

** სოფელ ქალიდამ (შორაპნის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ მდინარე ყვირილას ისე მოუმატნია, რომ სულ ერთიანად წაულეკნია ნაპირად მდებარე ადგილები. გარდა ამისა, დაუნგრევია წისქვილები, ხიდები და მთელს ქალებზედ მოდებული არის თურმე წყალი. პატარა მდინარე შუშაც, რომელშიაც ფეხით გადი-გამოდის ხოლმე ხალხი და რომელიც მდინარე ყვირილას ერთვის, ისე მოდიდდა თურმე, რომ ვერაფინ არჩევდა რომელი იყო ყვირილა და რომელი შუშა. ხალხი გულ-ხელ-დაკრებილი შესცქერის თურმე ამ საზარელს მოვლენას ტ არ იციან რითი დაიხწინონ თავი. კარგი ამინდებიც რომ დადგეს, მაინც მთელს სოფელს დამშევა მოგველის, რადგან საყანე ადგილები სულ ერთიანად დატბორილია და თავის დროზე ვერ დავხნავთ და ვერ დავთესავთო—გვწერენ.

** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ანდერსენის ზღაპრები“, გამოცემა კ. თავართილაძის წიგნის მაღაზიისა № 60, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, პირველი წიგნი. წიგნს შიგ ჩართული აქვს სურათი ანდერსენისა, შეიცავს 76 გვერდს და ღირს ორ შაურად.

*** „ნოვოე ვრემ.“-ის № 7280-ში 6 მაისიდამ დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „Въ защиту Кутаиса. Проэктъ Лолуа“. ამ წერილშია საბუთები იმისი, თუ რამდენად უფრო სასარგებლოა კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის მიმართულება შეიცვალოს და მდ. ყვირილის მარჯვენა მხარეზედ იქმნას გაყვანილი.

*** ბ. ზ. ეიპინაძე ბეჭდავს მოსე ხონელის მიერ დაწერილს „ამირანდარეჯნიანს“. გამომცემელს განზრახვა აქვს, რომ ამ უძველეს კლასიკურს ნაწარმოებს ბოლოში დამატებათ დაურთოს ყველა ამბები, ლეგენდები, ზღაპრები ლეკსები და თქმულებანი, რაც-კი ამირანის შესახებ დარჩენილი დღემდის ზეპირ-სიტყვაობით საქართველოში.

ამიტომ გამომცემელი ავალებს მთელს ჩვენს განათლებულს საზოგადოებას, რომ ამ საქმეში ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინონ და აცნობონ ყველაფერი ცნობები ამირანის შესახებ. ყოველის პირისაგან წარმოდგენილი ცნობა დაიბეჭდება დედანთან ფრთხილის შეთანხმებით და სისწორით.

ბევრი რამ ცნობები ამირანის შესახებ ქართულს დრო-გამოშვებითი გამოცემებშიაც დაბეჭდილან, ეს, რასაკვირველია, დამწერთ კარგათ ეხსომებათ, თუ სად და რომელ წელიწადს დაიბეჭდა მათგან დაწერილი თქმულებანი, ამიტომ კარგი იქმნება, რომ გაჰმიცემელს ეუწყოს ამის ცნობა, რომ ძებნისთვის მას შრომა არ მოუნდეს, თორემ თუ ეს ასე არ იქმნა, მაშინ ერთი კაცისთვის ასეთი შრომის ატანა და მოძებნა შეუძლებელი იქმნება.

იმედია, რომ ეს თხოვნა ჩვენის საზოგადოების და მწერლობის წინაშე უყურადღებოდ არ დარჩება. წერილების გაგზავნა შეიძლება „ივერიის“ და „კვლის“ რედაქციაში და წერა-კითხვის გამგეობის სამმართველოში.

** ს. ჯვარცხმა და ფარცხმა (ოზურგეთის მაზრა): აგერ აპრილიც დილითა, მაისი დადგა და მუშა ხალხს ყანებისათვის ხელი არ უხლია. მუდამ დღე წვიმს, ჭალებს თუ რამე სინოყიერე ჰქონდა, სულ ერთიანად გადარეცხა და აატალახა; ვისაც უწინ ამ დროს დათესილი ჰქონდა ყანები, წრეულს საცოდავად შეჰყურებს და ელოდება, როგორმე გამოიდაროს და მუშობას მოჰკიდოს ხელი.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲓᲐᲜᲗᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲗᲐ ᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ.

10 მაისი

სხდომა გაიხსნა 10 ს. 15 წ.

თავმჯდ. ბატონებო, მგონი თქვენ არ იცით, თუ რა უფლება და ნება აქვს თავმჯდომარეს კრებისას; ეს არის მიზეზი, რომ ამოდენი ხანია ჩვენ, უწესოობის გამო, გარდა ყვირილისა, არას ვაკეთებთ. ამისათვის გთხოვთ მომისმინოთ, მე უნდა წაგიკითხოთ წესდება, სადაც კრების თავმჯდომარის შესახებ არის კანონდებულება მოყვანილი. ამის შემდეგ მუხლ და მუხლ დაიწყო ამ წესდების კითხვა და ყოველ მუხლს შემდეგ თავისებურად აუხსნა კრებას წაკითხულის მნიშვნელობა და თანაც დასძინა, რომ ყოველივე ეს მას სავსებით აქვს შესწავლილი, შეგნებული და შეთვისებული და რომ იგი ღირსებითა და სამართლიანად ასრულებდა ყოველს წესს, კანონებში ხსენებულს. აქკი თქვენ ყვირილის მეტს არას აკეთებთო.

თ. ი. ანდრონიკაშვილი. ეს მისათვის, რომ თქვენ მხარეობას იჭერთ და ზოგს აძლევთ სიტყვას და ზოგს უკრძალავთ.

თავმჯდ. მოითმინეთ, თქვენთვის სიტყვა არ მომიცია? მდივანო, ჩასწერეთ ეს, როგორც წესის დამრღვეველი, მე მას სიტყვის თქმის ნებას ორის შენიშვნის შემდეგ აღარ მივსცემ.

თ. ი. ანდრონიკაშვილი, ჩამწერეთ, ჩამწერეთ, თქვენი არც სიტყვა მინდა და არც არა სხვა რამე.

თავმჯდ. კითხულობს შემდეგს მუხლებს და ორ-ორჯერ უხსნის თითო მუხლს წესდებისას.

თ. ი. ანდრონიკაშვილი. საქმეს შეუდექით, საქმეს! (ყვირილი: საქმეს!)

თავმჯდომარე ამშვიდებს კრებას და აგრძობს კითხვას.

თ. ივ. ჯორჯაძე. თქვენო აღმატებულებავ, „პერერიკების“ შესახებ ხომ რამ არ არის მანდ დაწერილი? (სიცილი).

თავმჯდ. ჩასწერეთო, ჩასწერეთ! ვინ არის ეს? (ხმაურობა და სიცილი კითხულობს).

თ. ი. ჯორჯაძე, აგვიხსენით, ბატონო თავმჯდომარეო, ამგვარიც უფლებანი აქვს თავად-აზნაურთა კრების თავმჯდომარესაც?

თავმჯდ. დიაღ.

თ. ილ. ჭაჭუჭაძე. თქვენ ჭკითხულობთ სულ იმას, რაც თავმჯდომარის უფლებაა; მანდეკ სწერია თავმჯდომარის მოვალეობაცა. და ეხლა უბრძანეთ წაიკითხონ თავმჯდომარის ვალდებულებაცა.

თავმჯდ. ეხლავე, ეხლავე, მაგასაც წავიკითხავ.

უფ. ვასაშვილი. თქვენო აღმატებულებავ, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან ცუდად მოიქეცით, რომ აქამდის არ წაგიკითხეთ ეგ წესდება და ოცის დღის განმავლობაში გვაწამეთ უწესოებით.

თავმჯდ. ყველამ უნდა იცოდეს კანონი და ისე მოვიდეს კრებაში დასასწრებლად; თუ ეხლა მე მას გიკითხავთ, მხოლოდ მისთვის, რომ იძულებული ვარ ესე მოვიქცე. ბევრნი არიან ისეთნიც, რომელთაც მშვენიერად და კანონიერად უტერიათ თავი და სხვისის გულისათვის რად უნდა მოვაცდინოთ იგინი და კანონდებულება ვუკითხოთ? (კითხულობს) შემდეგ გაჩერდება და ამბობს:

— გუშინ თავმჯდომარემ კომიტეტისამ თ. გრუზინსკიმ, განაცხადა, რომ მინისტრის ქალაღლის შინაარსიდამ სჩანს, რომ ამ კრებამ-კი არ უნდა დაადგინოს რევიზორის მოხსენების შესახებ დასკვნა, არამედ საგანგებო კრებამო. ეს ასე არ არის. აქ სწერია, რომ მომავალს კრებას წარუდგინეთო და ვისაც ნებავს მე წავუკითხავ იმ ადგილს.

თ. ილ. ჭაჭუჭაძე. 16 აპრილს მივიღეთ მინისტრის ქალაღლი და 18-ს აპრილს ვაცნობეთ ზედამხედველს კომიტეტს, რომ ეგ ქალაღლი მოგვივიდა და ამასთან ჩვენი სარჩილი მივეცით, რომ ეს ქალაღლი და რევიზორის მოხსენება ამ კრებას წარუდგინოს განსახილველად და მერე თავის დროზე საგანგებო კრებას მოხსენდეს განაჩენის დასადგენად. ვერც ერთი წევრი გამგეობისა ამაზე უარს ვერ განაცხადებს.

თ. ივ. მაჩაბელი. სრულებითაც არ არის ეგ ეგრე და მე ვაცხადებ უარს.

თ. ილ. ჭაჭუჭაძე. უფალო მდივანო, მაშ რა უფლებით შეადგინეთ შენი? (ხმაურობა) არც — ეგ — მაბრალებ. სთქვან ყველა გამგეობის წევრებმა, გარდა თ. მაჩაბლისა, თუ არ შევთანხმებულვართ ასე ამ საგნის შესახებ და ერთხმად არ გარდგავწყვეტია.

თ. ივ. მაჩაბელი. რასაკვირველია, ცხადია—იტყვიან!

თ. ილ. ჭაჭუჭაძე. რასაკვირველია, ცხადია, ცხადია თქვენი განსაკუთრებული განცხადებაც! ბატონებო, დაეკითხეთ ყველას და თუ გარდა თ. მაჩაბლისა მაგაზე უარს იტყვიან,—მაშინ რაც გენებოთ ის მითხარით.

თავმჯდ. მ. მაჩაბელო, თქვენ რაგნებავსთ სათქმელად, მოკლედა სთქვით.

მ. მაჩაბელი. მე უარს ვაცხადებ!

მგონი ძალიან მოკლედა ვსთქვი?

თ. ივ. მაჩაბელი. გთხოვთ წაიკითხოთ ზედამხედველ კომიტეტის გარდაწყვეტილება ამის შესახებ. (თავმჯდომარე კითხულობს).

თ. ივ. მაჩაბელი. გთხოვთ მიაქციოთ ამას დიდი ყურადღება. მე ამ ქალაღლის შინაარსიდამ ის გავიგე, რომ დაუყოვნებლივ ამ კრებამ უნდა დასდვას ხსენებული ქალაღლის შესახებ განაჩენი. თუმცა აქ დიდის ენერგიით გამოსთქვეს, რომ ვიითომ ჩვენ, ოთხივე წევრი გამგეობისა, თანახმანი ვიყავით იმისა, რომ საგანგებო კრებას მოჰხსენებოდა რევიზორის მოხსენება დასასკვნელად, მაგრამ მე გიცხადებთ, რომ არასფერი ამგვარი არ ყოფილა, არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი. 18-ს არ ვყოფილვარ ბანკში და ხელს ვერ მოვაწერდი ამგვარს ქალაღლს. რაიცა შეეხება მას, რომ მდივანზე მიათითეს, როგორც მოწმეზე, ეს იმგვარივე მართალი იქნება, როგორც ის თქმა, რომელზედაც სამს წევრს უწერია ხელი, მდივანს და რომელიც ამბობს, რომ ვიითომც მეც თანახმა ვყოფილიყავ მისი, რომ ორი წილი გარდასახადისა დავუტოვოთ ხოლმე მსესხებელთ. (ხმაურობა: ეგ საქმეს არ შეეხება; თავმჯდომარეც ამასვე აცხადებს საქმეს არ შეეხებაო).

თ. დ. ავალიშვილი ამტკიცებს, რომ გამგეობას არ შეეძლო ის ეთქვა—ამ კრებას მოჰხსენდეს გარდასაწყვეტად, რადგანაც ეს წესდების წინააღმდეგი არისო. ჩვენ რომ ისე მოვქცეულიყავით, როგორც თ. მაჩაბელი ამბობს, მაშინ საყვედური და განკიცხვა უნდა გეთქვათ გამგეობისათვის, რადგანაც ასეთი რთული და ძმიმე საგნები ასე უდროოდ, მოსწრაფებულად და განუსჯელად მიაწოდა მან კრებას გარდასაწყვეტად. ეს გამგეობისაგან საზოგადო საქმის სამსახური-კი არ იქნებოდა, არამედ თავისის პირადის განზრახვის სამსახურიო. (ხმა: მართალია, მართალია!)

თ. ნ. ორბელიანი. (ავალიშვილს) იყო ისეთი შემთხვევა, რომ სიტყვიერად გარდაგიწყვიტოსთ საგანგებო კრების მოწვევა?

თ. დ. ავალიშვილი. რამოდენადაც ახსოვს—არა.

თავმჯდ. ეგ ცხადია: რა გარდაწყვეტილება შეიძლება სიტყვიერად.

თ. ილ. ჭაჭუჭაძე. გამგეობა არც ვალდებულია და არც უფლება აქვს მოიწვიოს კრება. ეს ნება ჭვრეტ წესდებაში გამოსახულია. ვერც ერთს საგანს კრება ვერ განიხილავს ისე, თუ ჯერ გამგეობამ ზედამხედველის კომიტეტის შემწეობით არ გადასცა კრებას განსასჯელად და გარდასაწყვეტად. ამას ითხოვს საქმე

და განა რევიზორის მოხსენება საქმე არ არის და ძალიან რთული საქმე? საქმე სრულებით უკანონო და მოუხერხებელი იქნებოდა დაგვერღვია 82 § წესდებისა.

თ. ალ. ჩოლაყაშვილი. თუ ის ქალაღლი, რომელზედაც ხელი უწერია ორს წევრს გამგეობისას, არ არის კანონიერი, მაშინ არ ყოფილა არავითარი დადგენება ამის შესახებ გამგეობისა და ამისათვის ჩვენ არც განხილვა მისი, არც გარდაწყვეტა არ შეგვიძლიან და ვერც თქვენ უყრით კენჭს, რადგანაც წესდება არ არის დაცული და საგანი წესისამებრ შემოტანილი კრების განსახილველად.

თავმჯდომარე. ნუ აბუნდებთ საგანს.

თ. ალ. ჩოლოყაშვილი. მე ვაბუნდებ საგანს? ეს მართალი გასაკვირველია! (თავჯდომარე მაინც თავისას ამტკიცებს და არ ეთანხმება ჩოლაყაშვილს; კითხულობს და თავისი დასკვნა გამოჰყავს). თ. ჩოლაყაშვილი იმეორებს ზემო აღნიშნულს თავისს აზრს და ამტკიცებს, რომ სურვილი კრების თავმჯდომარისა და თ. ივ. მაჩაბლისა—კრებამ ეხლავე გარდასწყვიტოს ეს ქალაღლებიო,—უკანონოა.

თავმჯდომარე. საგანი გამოირკვა და ეხლავე კენჭს ყრას შევუდგებთ. მაგრამ სანამდის კენჭს ვყრიდეთ, უნდა გაგიცხადოთ შემდეგი: თ. მაჩაბელს უნდა ერთი ხმა ჰქონდეს და შეცდომით ბილეთი ორი ხმისა მიუციათ; გაგახსენებთ შემთხვევას თ. ვლ. მიქელაძის შესახებ და გარდა ამისა რევიზორი ამბობს, რომ წესი სიებისა და რწმუნებათა ქალაღლებისა შესახებ ვერ არის დაცული, როგორც უნდათ ჯერ არ არის საშუალება მაინცა და მაინც განესაზღვრო: ვინ არის და ვინ არა წევრი დაწესებულებისაო. კითხულობს აქციონერების შესახებ და ამტკიცებს, რომ ორი კაცი უნდა იყოს მოწვეული კრებიდამ ამ სიების და რწმუნების ქალაღლთა შესამოწმებლადო.

შ. თ. ბ. გრუზინსკი. თავმჯდომარემ წაიკითხა აქ აქციონერებთა შესახებ, სადაც ზედამხედველი კომიტეტი არ არსებობს. სადაც ზედ. კომიტეტი არსებობს, იქ ეს უფლება იმას ეკუთვნის და ვერავის ვერ დავუთმობთ. სიები კანონით უნდა ჩვენგან, ზედ. კომიტეტის წევრებისაგან, შემოწმდეს და შემოწმებულნი სიები კრებას უნდა წაეკითხოს; კრებას თვისი შენიშვნები შეუძლია გამოსთქვას, თუ არ გამოსთქვა—კენჭის ყრა იწყება და სხვა არა რა.

თ. იდ. ჭაკჭაკაძე. თავმჯდომარემ გიჩვენთ აქციონერთა წესდება; გთხოვთ მოსთხოვოთ მას წაიკითხოს წესდებანი იმა დაწესებულებათა, სადაც ზედამხედველი კომიტეტი არსებობს დაეერსად ისეთს წესს ვერ გვიჩვენებს, როგორიც მას ჰსურს შემოიღოს. რაიცა შეეხება სიების კითხვას, ეს ყოველ-დღე უნდა ეკითხათ, თუ კანონს დაეკითხებით.

შ. თ. ბ. ა. გრუზინსკი. თუ ყოველდღე სიები არ წაუკითხავთ, როგორც თ. ჭავჭავაძე ამბობს, ეს იმას დაეყვედრება, ვისაც რიგი იყო ეს ემოქმედა და არა ჩვენ.

თ. ნ. თ. ჩოლაყაშვილი. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მეცხრე ტოჩით ეკატერინე მეორისა (სიცილი) აზნაურთა სიებს მარშლები ამოწმებენ და მერე ღუბერსკი პრედვოდიტელს უდგენენ. ეგ აქციონერებისა და სხვა უსტავები ახალი მოგონილია; ჩვენ უთუოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ ეკატერინე მეორეს კანონით, რადგან იმასთან ყველა სტატუნი.

თავმჯდ. საგანი გამოირკვა და უწესოებას ვერ მოვახდენთ. ამისათვის ვთხოვ ბ. ა. გრუზინსკის მოეხმაროს სიების შემოწმების დროს ასისტენტებს. (ხმაურობა და ყვირილი).

(სხდომა ნახევარი საათით შეწყდა).

11 მაისი.

თავმჯდომარე აცხადებს კრებას კანონიერად და გამოსარკვევად მისა, რომ აქვს თუ არა ზედამხ. კომიტეტს უფლება არ გააჩერეკინოს რწმუნებითი ქალაღლები და საბუთები კრებისაგან ამორჩეულს კაცებს, ჭითხულობს ხერსონის ბანკის წესდებას. შემდეგ ამბობს, რომ ყოველგან და ყოველთვის ის წესია, რომ საზოგადო კრებისაგან ამორჩეულ პირთ გასინჯონ ზემო აღნიშნულნი საბუთები, როგორც ეს აქციონერთა წესდებაში სწერიაო და ამისათვის ვსთხოვ ზედამხედველს კომიტეტს და გამგეობას ერთად განსაჯონ ეს საგანი და შეგვაყოფინონ თავისი პასუხი ამის შესახებ, რისათვისაც ვაძლევ მათ ორის საათის ვადასო. შემდეგ წაუკითხა ორი წერილადება. რევიზორის მოხსენების შესახებ და დასძინა, რომ შეიძლება შევასწოროთ ჩემი წინადადება, მაგალითად, სარეგიზიო კომისიის მაგიერ, ესთქვათ მხოლოდ კომისიის; სხვა-კი არ შემიძლია გამოვაკლო, რადგანაც მე პასუხს მგებელი ვარ სამინისტროს წინაშე. (ხმაურობა და ყვირილი).

თავმჯდ. არ გინდათ სიტყვა „რევიზიონი“? მაშ გამოვაკლებ (ყვირილი: არ გვინდა, არ გვინდა! ყველაფერი გამოაკლეთო!) თ. ილ. ჭავჭავაძე, თ. ფ. თარხნიშვილი, გ. ყარანგოზოვი და შემდეგ უმეტესობა კრებისა თხოულობენ, რომ თავმჯდომარემ წინადადების შესახებ მათ მისცეს სიტყვის ნება, თუ რა სახით უნდა დადგინდეს წინადადება. თავმჯდომარე არავის აძლევს ნებას. (საშინელი ყვირილი, თხოულობენ თავმჯდომარის უარი ოქმში იქნეს შეტანილი).

თავმჯდ. თ. ილ. ჭავჭავაძეე, მოაწერთ ხელს, თუ არა თქვენ წინადადებას?

თ. იდ. ჭაკჭაკაძე. ჩემი წინადადება არ არის ეგ და ვერც ხელს მოვაწერ, ვიდრე არ გამოვიკვლევთ სავსებით საგანს.

თავმჯდ. უგ. ბ. გრუზინსკი, გნებავთ თუ არა თქვენ ხელი მოაწეროთ? თავადი გრუზინსკი ხელს უქნევს უარის ნიშნად.)

თავმჯდ. თავადო მაჩაბელო, თქვენ ხელს მოაწერთ?

თ. იდ. ჭაკჭაკაძე. ეგ, რასაკვირველია, სიამოვნებით მოაწერს ხელს თქვენს წინადადებას. (მაჩაბელი ხელს აწერს თავმჯდომარის წინადადებას; სიცილი და ტაშის ცემა; საშინელი ყვირილი; ოპოზიციის მხრჳენი მოდიან სკენაზე ხელის მოსაწერად; თავმჯდომარის განუწყვეტელი ზარის რეკაა, არევ-დარევა; ერთს სტოლზე სდევს წინადადება თავმჯდომარისა, რომელსაც ხელი მოაწერა თ. ივ. მაჩაბელმა და მეორეზე წინადადება გამგეობისა, ზედამხედველის კომიტეტისა და კრების მრავალთა წევრთა. ხელის მოწერის დროს გაჩნდნენ ზოგიერთნი სკენაზე, რომელნიც სხვა-და-სხვა გვარად უხსნიდნენ ნელის ხმით ხელის მომწერელთ წინადადების აზრს და ამგვარად „შანსებს“ იმაგრებდნენ. სხვათა შორის შემდეგი შემთხვევაც იყო: ერთი ხნიერი, სოფლის სალის ჰაერით, წითელის ღვინითა და პურით ჩასუქებული მოდის ნელ-ნელა სკენაზე ქალაღლზე ხელის მოსაწერად; არიკის რომელ ქალაღლს მოაწეროს ხელი და გაფაციცებით აქეთ-იქით იყურება).

თ. იდ. ს—შვილი. ოჰ, ეს ჩემი ძმობილია! მოდი აქ მოაწერეთ.

გ- —შვილი. არა, ეს ჩემი ძმობილია, აქეთ წამოდი.

აქეთ-იქით ეწევიან. საშინელი სიცილი. თ. ლევან ამირეჯიბი ამოვარდება სკენაზე, დაავლებს ხელს გაფაციცებულს და თავისს მფარველობის ქვეშ, ხელმოუწერელად მიჰყავს სკენიდამ. საშინელი სიცილია. თავმჯდომარე კენჭის ყრის დროს აცხადებს ნახევარის საათით „პერერივს“. თ. ილ. ჭავჭავაძე და სხვები „პროტესტს“ უცხადებენ: „ეგ უკანონობა არის, რომ სანამდის კენჭის ყრა გათავდებოდეს თავმჯდომარე სადმე წავიდესო და უიმისოდ გაგრძელდეს კენჭიო“. თავმჯდომარე აცხადებს, რომ იმას ჰშიან და საუზმე უნდა სჭამოს და მიდის. კენჭის ყრა დასრულდა და გამგეობის წინადადება მიიღეს ხმის უმეტესობით: 278 ხმით წინააღმდეგ 136 ხმისა. შემდეგ შეუდგა კრება ბანკის ანგარიშის განხილვას; შემდეგ ხანგრძლივის კამათისა სხვა-და-სხვა საგნის შესახებ, რაზედაც შემდეგში მოვილაპარაკებთ, ანგარიში ერთხმად დაამტკიცეს.

გრ. აბაშიძე.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. საინტერესოა რამდენი არის რიცხვით სხვა-და-სხვა პარტიის ამომრჩევლები პარისში. აი რას გვეუბნება ამის შესახებ ამომრჩეველთა სტატისტიკა. პარისში 2.511.955 მცხოვრებზედ 505.128 ამომრჩეველია, ანუ 5 კაცზედ თითო ამომრჩეველია. საბჭოს ეხლანდელს არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 373.362 კაცი. ამათგან 37.242 მონარქისტია ჭ კლერიკალი, 59.975 ოპორტიუნისტი, 108.538 რადიკალი და 144.792 სოციალისტი. ასე რომ მელინის სამინისტროსა ჰყავს პარისში 97. 217 მომხრე (ამომრჩეველთაგან) და 252.330 წინააღმდეგი. მონარქისტები და კლერიკალები სცხოვრებენ ქალაქის არისტოკრატიულს ნაწილში, ელისეს მინდვრებთან, სენ ჟერმენის და სენტ-ონორეს უბანში. ოპორტიუნისტები სცხოვრებენ ქალაქის შუა ადგილზედ დიდი ბულვარების ახლო, რადიკალები მეფობენ ქალაქის შუა ადგილების აღმოსავლეთ მხარეზე; მუშები-კი სცხოვრობენ ქალაქის გარეშამო, ციხესიმაგრეების ახლო.

ეგვიპტე. „ნორდ“-ში წერილი დასტამბული, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „რუსეთი და ევროპის სახელმწიფოების ინტერესი აფრიკაში“ და ეხება ეგვიპტის საქმეებს. გაზეთი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რუსეთმა მხოლოდ უკანასკნელს ხანებში მიაქცია ყურადღება აფრიკასაო. ეს იმითაც აიხსნება, რომ აქამდის ევროპის სახელმწიფოებს ჰსურდათ გამოერკვიათ თავისი გავლენა აფრიკაში, რომელშიაც უმეტესობა ველური ხალხი სცხოვრებს. ეხლახან ინგლისმა და იტალიამ მოისურვეს აფრიკის ისეთი სახელმწიფოების დაჭერა, რომლებიც სულაც არა ჰგვანან დაგომეიასა და კონგოს. ეგვიპტე ოსმალეთის ქვეშევრდომია და აბაშეთი-კი დამოუკიდებელი ქვეყანაა. ამიტომაც რუსეთისა და საფრანგეთის პროტესტს (წინააღმდეგობას) ეგვიპტის სავალო კომისიას ფულის გატანის შესახებ აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა და არა მარტო ფინანსიური. ამით ორმა მოკავშირე სახელმწიფომ კიდევ ერთხელ განაცხადეს ოსმალეთისა და ეგვიპტის დამოუკიდებლობა და გაიხსენეს ინგლისს პირობა, რომლის ძალითაც ჯარები უნდა გამოეყვანა ეგვიპტიდამ, რადგან ეგვიპტის კადნიერის სიუზერენის წინააღმდეგია ამ მხარეში ინგლისის ჯარების ყოფნა. აბაშეთის შესახებ „ნორდი“ ამბობს, რომ რუსეთი მხურვალე თანაგრძნობით ეკიდება ამ ქვეყანასაო და საწყენად მიაჩნია, რომ იტალიამ, რომელიც მამაკაცად იბრძოდა თავისუფლებისათვის, ეხლა სხვისი დამონება მოიწადინაო.

ოსმალეთი. შაჰის ნასრ-ედინის მოკვლამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა სულთან აბდულ-ჰამიდზედ. სულთანმა ბრძანება გასცა, არ გაანაცხადოთ რომ შაჰი მოჰკლეს, არამედ სთქვითო, რომ უეცრად მოკვდა. მაგრამ ტყუილად სცდილობდნენ ეს ამბავი დაეფართ, სტამბულში ამბობდნენ შაჰის მკვლელი აქ იყო პირველად და აქ გარდასწყვეტა ბოროტა-მოქმედების აღსრულებაო. სასახლეში ძალიან ეწინიათ, რადგან მთავრობის პარტია ყოველ წუთში ელის, რომ ბოროტ-განმზრახველნი რაიმე ხიფათში ჩაგვაგდებენო. ეშინიათ უფრო ახალ-ოსმალელებისა. ახალ-ოსმალელებში მარილაც მოძრაობაა და სომხებიც აჯანყებას თავს არ ანებებენ. დიდი ჩოჩქოლი ასტყდა აქ იმ შემთხვევის გამო, რომ ერთმა სომეხმა პოლიციელი მოჰკლა. სომეხი შეიპყრეს და გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იგი წევრი ყოფილა საიდუმლო კომიტეტისა. „კელნიშე ცაიტუნგს“ არ მოსწონს ამგვარი მოქმედება სომეხთა, რადგან სხვა სახელმწიფოს იმედი ტყუილა აქვთ და ოსმალეთის მთავრობას ამით უფრო აცხარებენო.

ჩინეთი. ინგლისის გაზეთები ყოველ დღე ახალ-ახალ ამბავს იტყობინებიან რუსეთის მოქმედების შესახებ ჩინეთში. ეხლა იმას ამბობენ, რუსეთმა დაიჭირა ჩიფუს მახლობლად ზღვის პირიო და რამდენიმე სამხედრო გემი უკვე მიიყვანა იქაო. „გლობი“ ამბობს, რომ ეს ხმა ნამდვილიაო, როგორც გვარწმუნებს ჩვენი კორესპონდენტი შანხაიდამო და თანაც უმატებს: „ამგვარი მოქმედება რუსეთისა წინააღმდეგია ყოველივე უფლებისა, რომელიც ხელშეკრულობაზედ უნდა იყოს დაფუძნებული“ სხვა გაზეთები ამბობენ, რომ ეს ნაპირები მოიარა „რუსეთის ნავოსნობის საზოგადოებამ“, მაგრამ „რეიტერის სააგენტო“ ამბობს, რომ ჩინეთის მთავრობას არ შეეძლო ამაზე თანხმობა განეცხადებინა, რადგან იგი ინგლისის ქვეშევრდომია. ... მოპოვებული პირობის ძალითაო. ამიტომაც ეს საქმე ინგლისის მთავრობას გარდაეცა განსახილველადაო. ამის შემდეგ იგივე „რეიტერის სააგენტო“ ამბობს, ნამდვილის წყაროებიდამ გავიგეთ, რომ ამ ნაპირების მოპოვებას სწორედ ვაჭრული დანიშნულება ჰქონიაო. ეს ადგილი უყიდია რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას, თავისი აგენტის შემწეობით; მართალია ამ საზოგადოებას მთავრობა შემწეობას აძლევს, მაგრამ ამ საქმეს მაინც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო. ინგლისის გაზეთებს ეს ახსნა არა სწამთ და მაინც თავისაზე დგანან.

აჯანყება კუბის კუნძულზედ.

ესპანეთის გაზეთების უკანასკნელის დეპეშებიდამ სჩანს, რომ ახლა აჯანყება კუბის კუნძულზედ, ცოტა არ იყოს, მიწყნარდა. გომესის შესახებ არა იცინან რა ნამდვილი, დაატუსაღეს მრავალი წინამძღოლი სხვა-და სხვა ჯგუფისა. ანტონიო მასეო ტყუილად სცდილობს ჰავანაში მივიდეს: გზებზედ აუარებელი ჯარები სდგანან. ღამ-ღამობით გზა ელექტრონით არის განათებული. აჯანყებულნი აზიანებენ რკინის გზის ლინიებს და ოხრებენ პლანტაციებს. მთავრობის ჯარებთან ძალიან ხშირად მოსდით ხოლმე შეტაკება აჯანყებულთა, რომელშიაც ბევრს კარგსა ჰკარგავენ. სამაგიეროდ, ესპანელებს ავთმყოფობა მუსრს ავლებს: თებერვალსა და მარტში მარტო უმთავრესს საავადმყოფოებში 15,000 ჯარის კაცი იწვა. „კუბაში ყოველივე გვიმტერება თვით ჰაერიც-კი“, სთქვა თურმე გენერალმა ალდეკოამ, როცა ესპანიაში დაბრუნდა. გამოქვეყნებული ფაქტებიდამ ბევრი ისეთია, რომელიც შიშსა ჰგვრის მცხოვრებთ. ჰავანაში და გვანაბაკოაში პოლიციამ ამ ალმოაჩინა იარაღები და საომარი სურსათი. მატანაში დატუსაღებულია მრავალი პირი, რომელსაც თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ. იჯანყებულთ და მათ მეთაურებს დახვრეტით სჯიან ძალიან ხშირად, მაგრამ ესპანელი გაზეთი „ლეონ ესპანიოლი“, რომელიც ჰავანაში გამოდის, ამას არა კმარობს. გენერალთა ვეიერმა დასტამბა წერილი, რომლითაც ურჩევდა გაზეთს გამოაქვეყნე სია იმ პირთა, რომელთა დახვრეტა საჭიროდ მიგაჩნიაო. მაგრამ ვეიერმავე გამოაცხადა ამას წინად, ყოველს აჯანყებულს, რომელიც იარაღს დაჰყრის და 20 დღის განმავლობაში გამოცხადდება მთავრობასთან, ეპატიებიაო. ამგვარმა მოწოდებამ ნაყოფი მოიტანა. კუბის სარევოლიუციო კომიტეტმა ნიო-იორკში აჯანყების გასაკეთებელად გამოსცა სარგებლიანი ქალაღლები. „ელ კომერციო“ ამბობს, რომ აჯანყების მოთავეთა და ამერიკელ კაპიტალისტთა შორის პირობა შეკრულიაო. ამ აზრს ცოტა არ იყოს საფუძველს აძლევს ის, რომ სარევოლიუციო კომიტეტს სარგებლიანი ქალაღლები გამოუცია. ჯერ-ჯერობით რაც ფული შეუკრებიათ ნახევარი იარაღისა და საომარი სურსათი მოსაპოვებლად გადაუდვიათ, ნახევარს-კი გავლენიან პირთა მოსაყიდველად და მოთავეთა ჯაგმაგირისთვის მოიხმარებენ. კაპიტალისტებ-

მა ამის სამგიეროდ ისეთი პირობები ჩამოართვეს, რომ დიდ ხანს მათ ხელში იქმნება ჩავარდნილი ახალი რუსეთი. მათ ეძლევათ ნება გაჰყიდონ დაუშუშვებელი მიწები, გიაყვანონ რკინის გზები, ხიდები, ტელეგრაფები და ტელეფონები მოაწყონ, შეუძლიათ უბაჟოდ შემოიტანონ სამოწად-მოქმედო იარაღები, 5 წლით განთავისუფლებულნი არიან ყოველივე გარდასახადისაგან. ინგლისური ენა სკოლებში სავალდებულო იქმნება, განათლება, ფულის სისტემა და ყოველივე კანონები ისეთივე იქმნება, როგორც შეერთებულს შტატებშია, ვალს გარდაიხდიან მომავალის რესუბლიკის შემოსავლისაგან. თუ მართალია აჯანყებულთა და კაპიტალისტთა შორის კავშირი, მაშინ აჯანყების საქმე ნივთიერად დიდის ხნით უზრუნველ ყოფილია და დიდ ხანსაც გასტანს, რაკი მოძრაობა ემჩნევა ყოველგან. ფილიპინებზედ მალელები დიდს უკმაყოფილებას უცხადებენ ესპანიის მთავრობას. სარეფორმიციონო განცხადებებს ავრცელებენ ყოველს ქალაქში, მანილაში-კი შეტაკებაც მოხდა. უმთავრესი ბუდეფილიპინის აჯანყებისა იმყოფება სინგაპურში. თვითონ ესპანიაში საშინელი გვლვაა. სამი მეოთხედი დათესილი ადგილებისა მთლად წახდა. სოფლის მცხოვრებნი მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან, თანაც ზოგიერთ ადგილებში ეშინიათ უწესობების. ამგვარმა საშიშარმა მოვლენებმა დარწმუნა საზოგადოება, რომ საჭიროა მალე გათავდეს კუბის საქმე. დიდი ხანია, რაც ამბობენ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ჩაერევა ამ საქმეშია, მაგრამ, კანოვასს კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ. გაზეთები დრტვინვენ, კანოვასის ამგვარ მოქმედების გამო, და დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ, არა გვსურს ჩვენს საქმეში უცხოელ სახელმწიფოს გარევაო. დაბოლოს, 23 აპრილს, კანოვასმა განაცხადა მინისტრთა საბჭოში, შეერთებულმა შტატებმა მეგობრული და სრულიად რიგიანი რჩევა მოგვცა კუბის დაწყნარების შესახებაო. გავლენიანი გაზეთები მიუცილებლად ჰხადიან რეფორმების შემოღებას კუბაში, მაგრამ რა გვარი რეფორმები ჰსურს მთავრობას—არავინ იცის. ერთი გაზეთის ვაშინგტონელ კორესპონდენტის წერილიდამ სჩანს, რა უნდა შეერთებულს შტატებს: განაწილდეს გარდასახადი თანასწორად, დგილობრივ მკვიდრთ მიეცეთ უფლება სხვა-დასხვა სამსახურში დაიჭირონ ადგილი ყოველის დაბრკოლების გარეშე, პირადობა და საკუთრება ხელ-უხლები იყოს, სასამართლო და სამხედრო უფლებები განცალკევდეს, და დამყარდეს ბეჭდვითი სიტყვისა და სარწმუნოების თავისუფლება. კუბის საქმის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა შეესანიშნავმა ემილიო კარტელიარმა, მაგრამ ერთობ ბუნდად და გამოურკვევლად. საზოგადო მიზეზი ამ მოძრაობისა არის პანამერიკანიზმი (მთელის ამერიკელების გაერთიანება) და ადარებს მას პანსლავიზმს. ესპანელი გავლენა ამერიკაში უცხოდ მიიჩნიათ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ადგილობრივ მკვიდრთა მოთხოვნილებასთან. მაგრამა, ამთავრებს თავისს წერილს კასტელიარი, ამერიკელები არიან წარმომადგენელნი დაძალებისა, ხოლო ესპანელები გონებისაო, ხოლო ქვეყნიერებაზედ საუკუნო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გონებისა და კანონიერის უფლების გამარჯვებასაო.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ „ᲓᲔᲓᲐ-ᲔᲜᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(დასასრული *)

7) ანბანში ჩართულია ანდაზები. არ ვიცი რა მიზნით ჭქონდა ავტორს. ხოლო ჩემის აზრით, ეს „დედა-ენის“ ღირსებათ-კი არ ჩითვლება. ვფიქრობ, ნაკლულევანებაც უნდა იყოს. ჩვენ ვიცით, რომ აუხსნელად არაფრის შესწავლა არ შეიძლება. მოდით და აუხსენით ბავშვებს ანდაზების მნიშვნელობა, მეტადრე ზოგიერთისა. მაგალითად: „ღვინო არსად იყო, ეშმაკები ტიკეს ალობობდნენ“. ბავშვი იკითხავს: ეშმაკი რა არის? სად არის? ღვინოს სმენ ეშმაკებს? რათ ალობობდნენ ტიკებს? და სხვ. აი კიდევ სხვა ანდაზები: ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე; პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულია; ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატეს; რკინას ჟანგი სჯამს, კაცის გულს—დარდი და სხვა მრავალი. დარწმუნებული ვარ, არავინ იტყვის „ნუ აუხსნითო“ ან „ამ სავარჯიშოს ანბანის შესწავლის დროს ნუ წააკითხებთო“. რაკი სავარჯიშოა, მაშასადამე წაკითხულ უნდა იქმნას, რომ უწყებული ასო საბუთიანათ შეისწავლოს და გაიკვეთოს მოწოფემ. უაზროთ და კაკაბუნივით განშეორება სიტყვებისა აუხსნელად, ყველამ იცის, არა თუ სასურველი არ არის, მავნებელიც არის. რომ ანდაზების ხმარება ანბანში უსაფუძვლოა, ამაზე ბევრის, ძლიერ ბევრის თქმა შეიძლება. მე-კი ბევრს ვერ გამოვუდგები, და არც საჭიროდ მიმაჩნია. წრფელის გულით გამოვსთქვამ ამ ჩემს მცირედ მოსაზრებას. ვისაც არა სჯერა, ვსთხოვ, გამოსცადოს და გულ-წრფელად აღიაროს. დიახ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ანდაზები არ არის საჭირო ანბანში და ასჯერ უფრო სასარგებლოდ და სამჯობინოთ მიმაჩნია იმათ ადგილზე იმათ მაგიერ დაიბეჭდოს პატარ-პატარა მოთხრობები, რომლებიც ათას წილად უფრო სახალისო იქნება ბავშვებისათვის. მაგალითად: „წ“-ს შესწავლის შემდეგ დაუბეჭდეთ იქვე მოთხრობანი: „ნუცას სკოლა“; „სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი“; „მკვეხარა ქოთანი“; „ვანო და ქვევრი“ და სხ. ამგვარად შეიძლება ანდაზების მაგიერად მოთხრობები მიაწოდოთ და უფრო წაახალისოთ ბავშვი და იმედი გაუორკეცოთ: თავისი წაკითხული ამბავი თითონვე გაუხარდება და გაუკვირდება.

კარგი იქნება აგრეთვე ასოები და პირველი სავარჯიშო სიტყვები უფრო მსხვილი შრიფტით დაიბეჭდოს. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ გავიგე, რა საჭირო იყო ანბანის შემდეგ მაშინვე პატარა ლოცვები. ვვარ ბევრად ეჭვობინება, რომ ლოცვები ყველა ერთად მოაქციონ, სახელდობ წიგნის ბოლოში, პატარაცა და დიდიც. მაშინ მოსწავლეს უფრო ადვილად შეეძლება იპოვნოს საჭირო ლოცვა.

ფრიად სასარგებლო იქნება, რომ „დედა ენაში“ ჩაუთრთონ ისტორიული მოთხრობები ქართველთა ცხოვრებიდგან და ზოგიერთი ისტორიული ფაქტები. ამ საშუალებით საკუთარი ისტორიის ცოდნა ცოტათი მაინც გავრცელდება ხალხში, თორემ ახლა ჩვენმა მოსწავლე თაობამ ქართული ისტორიისა სრულებით არა იცის-რა. სხვის ისტორიის-კი სწავლობენ და იციან კიდეც, ხოლო საკუთარისა არა გაეგებათ-რა. მიზეზი, მოგეხსენებთ, მრავალია. ეს საშუალება-კი, ვფიქრობ, ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ამ ნაკლს და ესეც კარგია. დასასრულ ერთი თხოვნა: ყოველივე წიგნის შემადგენელმა და გამომცემელმა ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რომ წიგნში ერთი შეცდომაც არ იყოს,—არც კორექტურული და არც ისე. ეს თუ სხვებისთვინ სავალდებულოა, ათასჯერ სავალდებულო უნდა იყოს სახელმძღვანელოს შემადგენელისა და გამომცემელისთვის. დაბეჭდავენ, ბატონო, წიგნს და ბოლოში გამოახდებენ: ესა და ეს უმთავრესი შეცდომები არისო. ზოგს ესეც მეტად მიაჩნია, იმდენად უყურადღებოდ ეკიდებიან ჩკითხველს. უბრალოებს ვინღა სთვლის, როცა უმთავრესიც ძლიერ ბლომათ არის. „დედა-ენა შიაც“ ბევრია კორექტურული შეცდომები; ერთი და იგივე სიტყვა სხვა-და-სხვა ალაგას სხვა-და-სხვა ნაირათ სწერია. მაგ. ერთ ალაგას სწერია „ჯეხი, მეორე ალაგას—ჯანი. რომელია მართალი? სასურველია და საჭირო, რომ არც ერთი შეცდომა არ იყოს „დედა-ენაში“.

სხვა მწერლებსავით ბატონ ი. ს. გოგებაშვილსაც „დედა ენაში“ ნახმარი აქვს უცხო სიტყვები: კარანდაში, სტოლი, შაფი, კრესლო, სტაქანი და სხვები. არ მესმის, რა საჭიროა უცხო სიტყვების ხმარება, როცა იგივე საგნების გამომხატველი ჩვენა გვაქვს ჩვენი საკუთარი ქართული სიტყვები. სიტყვა „კარანდაში“ ნასესხებია თათრებისაგან და ნიშნავს შავ-ქვას (ყარა-შავი, დაშ-ქვა). რათ გვინდა სხვისი სიტყვა, როცა ქართულად მაგასა ჰქვიან ფანქარი. სტოლი, შაფი, სტაქანი—არც რუსული და არც ქართული; კრესლო ხომ წმინდა რუსულია. რა საჭირონი არიან ჩვენთვის ეს ხორცმეტნი, როცა ქართული შესაფერი სახელები გვაქვს: მაგიდა, დგამი, ჭიქა, საკარძელი. უნდა ვიცოდეთ, რომ უცხო სიტყვების ხმარები ლიტერატურაში და მეტადრე სახელმძღვანელოში გადაგვარებას ხელს უწყობს. ჩემის ფიქრით, ქართულის ლიტერატურიდგან უნდა განიდევნონ არა მარტო ამ საუკუნეში დაბუდებული ჩამოთვლილებული უცხო სიტყვები, იგი სიტყვებიც, რომლებიც, დროთა ვითარების გამო, გარეშე ხალხთა გავლენით დამკვიდრებულან ჩვენში და რომლების სამაგიერო იგივე საგნის გამომხატველი სიტყვები ჩვენცა გვაქვს საკუთარი. მაგალითად: ყარაული —თათრულია, ქართულად—დარაჯი; ფანჯარა—თათრულია, ქართულად—სარკმელი; თარაჯიმანი—თათრულია, ქართულად—მთარგნელი; ხანჯალი—თათრულია, ქართულად—სატევარი; არხი—თათრულია, ქართულად თხრილი უნდა იყოს, და სხვა მრავალი. დიახ, ამისთანა სიტყვებისაგან უნდა განიწმინდოს ჩვენი ლიტერატურა. საჭიროა თანდათანობითი და ბეჯითი მცადინობა, უცებ ხომ არ შეიძლება. აი ამ მოსაზრების გამო მე, როგორც ერთი წვერი მკითხველთა საზოგადოებისა, ვაცხადებ ჩემს გულითად სურვილს, რომ, რაც დენდაც კი შესაძლებელი იქნება, „დედა-ენაში“ არ იყოს ხმარებული არც ერთი უცხო სიტყვა.

ამით ვთავავებ ჩემს შენიშვნებს „დედა-ენის“ შესახებ. „დედა-ენა“ მე საუკეთესო სახელმძღვანელოთ მიმაჩნია და ამიტომაც დიდი სურვილი მაქვს, რომ იგი კიდევ უკეთესი შეიქნეს. აი ამ სურვილმა გამოწვია ეს ჩემი გულწრფელი წერილი. თუ ყურადღების ღირსი არის რამე და ჭკუაში დასაჯდომი, რასაკვირელია, მიღებული იქნება.

გ. ბ.

ქ. ახალციხე.

„ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ“ ᲓᲔᲙᲐᲜᲐ.

(რუსეთის დეპეშათა საგანგებოსაგან).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 მაისი. მთელი გზა ალექსანდრეს სასახლემდის გაეკედილია აუარებელის ხალხით. მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ ყველანი აღტაცებით და „ურას!“ ძახილით ეგებებიან. სახლები მშვენიერადაა მორთული და გაჩირაღდნებული.

9 მაისს პეტრეს სასახლეში საუზმე იყო გამართული 180 კაცისთვის. მიპატიჟებულნი იყვნენ იმპერატორებითი უფალღლესობანი, ყველა პრინცები ქ პრინცესები. სალამოს ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული დიდის მთავრით მიხეილ ალექსანდრეს ძით და დიდის მთავრინათი ოლგა ალექსანდრეს ასულით მიბრძანდნენ ალექსანდრეს სასახლეში.

10 მაისს მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ წარუდგენენ საგანგებო საელჩოები: საფრანგეთისა, ესპანეთისა, იაპონიისა, კორეისა და შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებისა.

10 მაისს, $2^1/_2$ საათზე, ჩამობძანდა ჰერცოგი საკსენ-ვეიმარი, რომელსაც მიეგებნენ ზოგიერთნი სამეფო გვარეულობიდგან და დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული.

3 საათსა და 25 მინუტზე ჩამობრძანდა ჰერცჰერცოგი ევგენი ამალიოთურთ. მას მიეგებნენ დიდი მთავრები: ვლადიმირ, სერგი და პაველ ალექსანდრეს ძენი.

3 საათსა და 55 მინ. ჩამობრ. ნენ: პრინცი ბელგიისა, ჰერცოგები: ფრიდრიხ-ადოლფ და ფრიდრ. მეკლენბურგ-შვერინისა. მათ მიეგებნენ: დიდი მთავარი პაველ ალექს. ნდრეს ძე და დიდი მთავრები კირილე და ბორისი ვლადიმირის ძენი.

11 მაისი.

ᲢᲣᲚᲩᲘᲜᲘ. ქალაქის საბჭომ გ. უგზავნა ხელმწიფე იმპერატორს დეპეშა, რომლითი ულოცავს დაგვიანებულ გვინდას.

ᲜᲘᲟᲐᲞᲝᲚᲘ. მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე მოვიდა ამ გემით „ზარინიცა“ და გაემგზავრა კასტელამარეს, სადაც სამს ოთხს დღეს დარჩება.

ᲑᲝᲛᲑᲔᲘ. პოლკოვნიკი ეგერტონ პენჯაბის ქვეითის პოლკით სუაკინ. გაემგზავრა. დანარჩენი ლაშქარი ი. დოეთის ჯარებისა წასასვლელად ემ. ზადება.

ᲕᲘᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 10 ᲛᲐᲘᲡᲘ.

	ᲛᲐᲒᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ	ᲒᲐᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ.	ᲒᲐᲮᲜᲘᲚᲘ
	ᲛᲐᲜ.	ᲙᲞ.	ᲛᲐᲜ.
ᲑᲝᲭᲝᲗ-ᲛᲐᲜᲓᲐᲜᲘᲡᲘᲜᲘ ᲝᲥᲠᲝ. 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურთ ბანკისა	7,00	— „	—
$4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	— „	— „	214
4% იმავე ბანკისა .	$97^1/_6$	— „	—
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნა.			
ურ. ბანკისა. . .	101	— „	—
% იმავე ბანკისა. .	$99^1/_2$	— „	—
% ტფილისის სათა.			
ოად-აზნაურთ ბა.			
ნკისა	101	— „	—
5% იმავე ბანკისა .	99	— „	—
5% ოდესიაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$98^1/_4$	— „	—

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲘᲓᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲙᲐᲜᲘ

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲣᲠ

ᲓᲘᲓᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲙᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ:

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ᲗᲘᲗᲝ ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ᲗᲘᲗᲝ ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ᲛᲘᲣᲠ ᲛᲘᲣᲠ

ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘ ᲨᲢᲘᲠᲛᲔᲠᲘ

ᲞᲐᲚᲬᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲟᲘ

ᲞᲐᲚᲬᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲟᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ

90 ᲙᲞ. 50 ᲙᲞ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Мая 1896 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲜᲒᲝᲕᲘᲡ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.